ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,

მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრის,

ჯაბა ჯიშკარიანის 2018 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრიი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს, ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6-ე მოწვევის წევრი, ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, სარევიზიო კომისიის წევრი. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2017 წლის ნოემბერს, დეკემბერსა და 2018 წლის იანვრიდან, ოქტომბრის ჩათვლით.

მოგახსნებთ, რომ მე-6-ე მოწვევის საკრებულოს მუშაობის პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 29 სხდომა, ამდენივე ბიუროს სხდომა. ჩატარებულ სხდომებზე მიღებულ იქნა 397 განკარგულება და 424 დადგენილება. რაც შეეხება ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" მიერ ჩატარებული სხდომათა რაოდენობა არის 33.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა:

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომები

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებულია კომისიის 18 სხდომა. სხდომებზე განხილულია 24 საკითხი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთავრობის თანამდებობებზე კანდიდატურების ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის წარდგენის შესახებ.

3. მეექვსე მოწვევის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების გაცნობითი ხასიათის შეხვედრა;

4. ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარის უფლებამონაცვლის საკითხის განსაზღვრა.

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

6. “ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის დეკემბრის #30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულების დადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“.

8. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის დებულების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ შესახებ

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

12. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში - ცნობის სახით

13. თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. (№12-03181411-03)

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

15. „თვითმმართველ ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით (12-03181862-03)

16. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ (საკრებულოს №12-03182013-03 20.07.2018)

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-031820624-03 25.07.2018)

18. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (№12-03181862-03)

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროკავშირს შორის „საგრანტო ხელშეკრულება ევროკავშირის გარე მოქმედებები“ გაფორმებელ გრანტის ხელშეკრულებაში ცვლილებები (№12-0318214120-03)

20. შუამდგომლობა საკრებულოზე მიწისქვეშა ავტოსადგომების ინტერესთა გამოხატვის საკითხების წარდგენის შესახებ (#12-031821470-03 02,08,2018წ)

21. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის 6 თვის შესრულება

22. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ”

23. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე“

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს მიერ რიგი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“.

სარევიზიო კომისიის სხდომები:

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე ჩატარებულია კომისიის 19 სხდომა. სხდომებზე განხილულია 35 საკითხი.

მთაწმინდის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრები და მათთან ურთიერთობა :

2017 წლის ნოემბრიდან, 2018 წლის ოქტომბრის თვის ჩათვლით, მხოლოდ გეგმიურ ოთხშაბათს, ანუ მოქალაქეთა მიღების დღეს პირადად 703 მოქალაქეს შევხვდი, ჩემი წარმომადგენლები - 483 მოქალაქეს... პრობლემები,რომლებიც შეხვედრაზეა ხოლმე წარდგენილი----, ძირითადად სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვისა და მიწის ლეგალიზაციის მიმართულებით არსებულ საკითხებს ეხება.

საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობაში შემოსულია მოქალაქეების 850 განცხადება, რომელთაც შესაბამის უწყებებთან წერილობითი შუამდგომლობა გაეწიათ. მათი დიდი ნაწილი დადებითად გადაწყდა, ნაწილი კი სირთულიდან გამომდინარე, დამუშავების პროცესშია.

აქტიურად ხდება მისამართებზე, ეზოებსა და სახლებში გასვლითი შეხვედრები. მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ამ დროისათვის 125-ზე მეტი მისამართი გვაქვს შესწავლილი.

აქტივობა/შეხვედრები:

სკოლის მშენებლობის საკითხი კიკეთში

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, ზვიად როსტომაშვილთან ერთად , ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარესთან, ეკატერინე სისაურთან შეხვედრა გავმართეთ. შეხვედრის მთავარი თემა სოფელ კიკეთში სკოლის აღდგენა იყო. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე , სოფელ კიკეთში არსებული მიწის ნაკვეთი, განათლების სამინისტროს, სკოლის ასაშენებლად გადაეცემა. სკოლის მშენებლობა უახლოეს მომავალში დაიწყება. სოფელ კიკეთის წარმომადგენელი (მკვიდრი) კახა ალთუნაშვილი დაესწრნენ. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხზე ჯაბა ჯიშკარიანმა შეხვედრა რამდენიმე დღის წინ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გამართა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ სკოლის პროექტი წარადგინა.

შინდისში, წყლის მაგისტრალური ქსელის მშენებლობა დაიწყო

შინდისში, სამკილომეტრიანი წყლის მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელის მშენებლობა დაიწყო. შინდისის წყლით უზრუნველყოფის საკითხზე მუშაობა დედაქალაქის მთავრობამ მოსახლეობის თხოვნით დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიწისქვეშა კომუნიკაცია დასახლებაში ამ დრომდე არ არსებობდა, რის გამოც მოსახლეობა იძულებულები იყო წყალი გადამზიდი ავზებიდან გაცილებით ძვირად შეეძინა. პროექტი წყალმომარაგებით 180 ოჯახს უზრუნველყოფს. სამუშაოების **შესრულებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 570 ათასი ლარია გამოყოფილი.**

ორბელიანის მოედანი

ორბელიანის მოედნის რეაბილიტაცია 20-მდე მისამართზე სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებს ითვალისწინებს, ორი მისამართის - ათონელის N9-N11-ის

რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია. ასევე, ზოგიერთ მისამართზე დასრულებულია დეკორატიული ელემენტებისა და ლითონის მოაჯირების აღდგენა-რესტავრაცია.მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, კულტურული მემკვიდრეობის 13 ძეგლს, შესაბამისი სამუშაოები ჩაუტარდება. ასევე, დაგეგმილია ათამდე შენობის სრული რეაბილიტაცია.სარეაბილიტაციო არეალში 150 მანქანაზე გათვლილი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა უკვე დასრულებულია და ამ ეტაპზე, კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს თბილისის განვითარების ფონდი პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ახორციელებს, ჯამური ღირებულება კი 65 მილიონ ლარამდეა.

შეხვედრა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა მთაწმინდის რაიონში მცხოვრები დევნილები მიიღო. სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე საუბარი, ძირითადად საცხოვრებელი ფართების დაკანონებას შეეხო. მინისტრმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება თბილისის მერიასა და ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად შესაძლებელია. აქტიური კომუნიკაცია მთაწმინდის რაიონში მცხოვრებ დევნილებთან მომავალშიც უწყვეტად გაგრძელდება.